ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1463213

ნომერი: AR1243249

თარიღი : 08.08.2014

გაცემის თარიღი : 04.09.2014

გაცნობის თარიღი : 04.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N64-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კოხტაშვილი პ/ნ 01001074304
- თბილისი მუხიანი II მ/რ კორ. 5 ბ. 66

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ფასადზე სარეკლამო აბრების განთავსება სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, ვინაიდან ცალკე მდგომი სარეკლამო კონსტრუქცია ეწყობა საკადასტრო საზღვრებს გარეთ ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შპს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შპს "სმოდ ედვერთაიზინგი", გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ვინაიდან საპროექტო ადგილი მდებარეობს მარჯვენა სანაპიროზე, საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ "აუთდორ ჯი"–ს (მისამართი: ყოფშიძის ქ. #2, მე–4 სართული).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი იქნას განახლებული ფოტომონტაჟი ზომების მითითებით ცალკე მდგომი სარეკლამო კონსტრუქციის გარეშე;

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.